

ვორქშოფი: „უმაღლეს სასწავლებლებში ცვლილებების მართვის ეფექტურობა  
ინტერნაციონალიზაციის პროცესში“

2019 წლის ივნისის დასაწყისში სასწავლო ცენტრ "მერიდიანისა" და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართება 5 დღიანი ვორქშოპი (ვორქშოპის საფასური 400 ლარი) თემაზე: "უმაღლეს სასწავლებლებში ცვლილებების მართვის ეფექტურობა ინტერნაციონალიზაციის პროცესში".

ვორქშოპს ჩაატარებს გაეროს კონსულტანტი გლობალური განათლების სფეროში-გრაჰამ პაიკი.

გრაჰამ პაიკი აქტიურადაა ჩართული უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესის დაგეგმვასა და განხორციელების საკითხებში. გაეროს ეგიდით თანამშრომლობს ოცზე მეტ ქვეყანასთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მან სხვადასხვა უნივერსიტეტში დაარსა საერთაშორისო განათლების კვლევითი და სასწავლო ცენტრები. პაიკი 11 წიგნის ავტორი და ეროვნული ჯილდოს მფლობელია საერთაშორისო განათლების სისტემაში განხორციელებული სიახლისთვის.

1998-2008 წლებში გრაჰამ პაიკი პრინც ედვარდ აილენდის უნივერსიტეტის საერთაშორისო განათლების ფაკულტეტის დეკანი იყო. 2009-2018 წლებში კი ვანკუვერის უნივერსიტეტის საერთაშორისო განათლების ფაკულტეტის დეკანი და ინტერნაციონალიზაციის პროგრამების ავტორი. მის მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების ფორმულირების კუთხით მას საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ გააგზავნოთ თქვენი CV და სამსახურის აღწერა აღნიშნულ მეილზე [meridiani.center@gmail.com](mailto:meridiani.center@gmail.com)

Director of Educational Centre Meridiani

phone +995 592519977

[meridiani.center@gmail.com](mailto:meridiani.center@gmail.com)